24/07/2024

MES 3 24 0000900724

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
მარი მგელაძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ცირა კეჟერაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:
ა(ა)იპ - წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზია:
ნინო ჯანჯღავა- სკოლის დირექტორი

შპს - საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა მომავალი სა ბავშვო ბაღი:
გიორგი კირკიტაშვილი- სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):
ა(ა)იპ - წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზია
თავმჯდომარე:
ირინა დვალი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ირმა ხუციშვილი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ინგა ლომაძე-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დავით ჩივაძე-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
მაკა ნადარეიშვილი-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ლეილა ხელისუფალი-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
გიორგი ჩაჩუა-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ხათუნა ქერაშვილი-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
მზია დადვანი-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ქეთევან ქობალია-სპორტის საგნობრივი ექსპერტი
მანანა როსტომაშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

შპს - საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა მომავალი სა ბავშვო ბაღი
თავმჯდომარე: მაკა ჭიაბერაშვილი
წევრები:
მარიამ ხეთაგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
ინგა ლომაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
ნიკა უთალიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
მაკა ნადარეიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
დავით კიკაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
დიმიტრი პოპოვი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
თამარი კვანიტიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი);

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 12 ივლისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით

დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1. ა(ა)იპ - წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა მომავალი საბავშვო ბაღი მომავლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. ა(ა)იპ-წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა გიმნაზიის ავტორ იზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირინა დვალმა.
ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ - წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 13 და 14 მაისს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ სენაკში, რუსთაველის ქ. №116-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი

განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 600 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა იმ შემთხვევაში, თუ კი სკოლა-გიმნაზია სასწავლო პროცესს განახორციელებდა ორ ცვლაში.
ირინა დვალმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ოთხივე სტანდარტი და ყველა კომპონენტი შეაფასა როგორც „შეესაბამება“ სტანდარტის მოთხოვნებს.

ექსპერტმა, ირინა დვალმა, ასევე გააზიარა სკოლის შენობის ინფრასტრუქტურის ფოტო-მასალა და ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე. ექსპერტის განცხადებით, სკოლა-გიმნაზიაში, ფორმალურ განათლებასთან, ერთად მნიშვნელოვანი როლი ეკავა არაფორმალურ განათლებას. ამ მიმართულებით მოსწავლეთა თვითმმართველობის ჩართულობით შექმნილი იყო და ფუნქციონირებდა შემდეგი კლუბები და წრეები: ეკო-კლუბი ,,ECO-R“, კლუბი - ,,ეთნოგრაფები“, ვიკი-კლუბი, ინტელექტ კლუბი-რა? სად? როდის?, ხალხური სიმღერისა და გალობის შემსწავლელი წრე, STEM წრე, ქიმიის ინგლისურენოვანი წრე, კინომოყვარულთა კლუბი ინგლისურ ენაზე, ინგლისური ლიტერატურის კითხვის კლუბი, სასპორტო კლუბი -,,ოქროს საწმისი“, სამოქალაქო განათლების კლუბი “მომავლის გზა“ და მოხალისეობის (წითელი ჯვრის) კლუბი.
ექსპერტ ირინა დვალის განმარტებით, სკოლაში 2023-2024 სასწავლო წელი გამოცხადდა შოთა რუსთველის წლად. წლის განმავლობაში სკოლა-გიმნაზიაში ჩატარდა არაერთი აქტივობა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა. სკოლა-გიმნაზიაში აქტიურად მუშაობდა STEM კლუბი, რომლის ფარგლებშიც განხორციელებულ პროექტებში სკოლა-გიმნაზიასა და მის მოსწავლეებს მნიშვნელოვანი მიღწევები ჰქონდათ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინდიკატორთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საგნობრივ ექსპერტებს წარმოედგინათ მეტი დეტალი დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის დროს გამოკვეთილ გარემოებებთან დაკავშირებით.
მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, მზია დადვანმა განაცხადა, რომ სკოლაში ისწავლებოდა გაძლიერებული მათემატიკა, კერძოდ მეთორმეტე კლასში აღნიშნულ საგანს დათმობილი ჰქონდა ექვსი საათი, საიდანაც ერთი საათი განკუთვნილი იყო ლოგიკისთვის.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ინგა ლომაძემ ისაუბრა სკოლის მიმართ გაცემულ რჩევებზე და აღნიშნა, რომ კურიკულუმებში, გრაფებში-,,სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის“, მითითებული ელექტრონული რესურსები არ მოიცავდა ლინკებს (მაგალითად, პირველი კლასის კურიკულუმის ჩარჩოში), ან შემოთავაზებული იყო ქიმიური ვიდეო/ექსპერიმენტების ლინკები დასახელების მითითების გარეშე, ამიტომ გაურკვეველი იყო, მასწავლებელი რა მიზნით იყენებდა ასეთ სამუშაოს - ლაბორატორიული სახით თუ პრაქტიკული დანიშნულებით, შესაბამისად სკოლას სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების კურიკულუმებში უნდა დაეფიქსირებინა დაგეგმილი ლაბორატორიული ან/და პრაქტიკული სამუშაოების დასახელება. ასევე, დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო კურიკულუმებში, გამოკვეთილად პირველი კლასის, მე-5 კლასის და მე-6 კლასის გადმოგზავნილი კურიკულუმის ჩარჩოებში, იყო მითითებული დასახელება „სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის”. აღნიშნული დასახელებები კი ზუსტად

არ ასახავდა ან/და არ შეესაბამებოდა ინფორმაციას, რომელიც იყო მითითებული კურიკულუმის ამ ნაწილში, რადგან კურიკულუმებში ასახული თემები და მათთან დაკავშირებული საკითხი/საკითხების შესასწავლად არ გამოიყენებოდა მხოლოდ კომპლექსური დავალებები, შესაბამისად, ექსპერტის მხრიდან გაიცა რჩევა, რომ დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების კურიკულუმების ჩარჩოებში ბოლო სვეტს დარქმეოდა ,,სასწავლო რესურსები“.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, დავით ჩივაძემ განაცხადა, რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა სტანდარტის შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც თანხვედრაში იყო ერთმანეთთან. დაწესებულებამ უზრუნველყო გაცემული რჩევების გათვალისწინება ავტორიზაციის ვიზიტის განმავლობაში. საბოლოოდ, სკოლა ექსპერტის მხრიდან დადებითად შეფასდა.

ტექნოლოგიების საგნობრივმა ექსპერტმა, გიორგი ჩაჩუამ, აღნიშნა რომ სკოლა ახორციელებდა პროექტებს და მოპოვებული ჰქონდათ არაერთი გამარჯვება, რომლის მეშვეობითაც მათ გაამრავალფეროვნეს კომპიუტერული ლაბორატორია სხვადასხვა ტექნოლოგიური საშუალებით. აღნიშნულს ხშირად იყენებდნენ სასწავლო პროცესის განმავლობაშიც.

სახელმწიფო ენის საგნობრივმა ექსპერტმა, ხათუნა ქერაშვილმა, განაცხადა რომ ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში განხილული დოკუმენტაციისა და ჩატარებულ ინტერვიუზე დაყრდნობით, სკოლა სტანდარტის შესაბამისად, ახორცილებდა სასწავლო პროცესს და შესაბამისად ამ მიმართულებით არ გაცემულა რჩევები და რეკომენდაციები.

დაწყებითი საფეხურის საგნობრივმა ექსპერტმა, ხათუნა როსტომაშვილმა, განაცხადა რომ სკოლას ასევე ჰქონდა გამოცდილება სადიაგნოსტიკო და რემედიაციული მიმართულებით.

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის, მაკა ნადარეიშვილის განცხადებით, სკოლაში ინგლისურსა და რუსულთან ერთად შეთავაზებული იყო მესამე - ფრანგული ენა.

საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა ახორციელებდა თუ არა სკოლა საზოგადოებრივი მიმართულებით სავალდებულო პროექტებს.

სკოლის დირექტორმა, ნინო ჯანჯღავამ, დაადასტურა, რომ აღნიშნული მიმართულებით სკოლაში განხორციელდა ორი სავალდებულო პროექტი.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ სკოლის მიერ მოსწავლეთა მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მეორე ცვლის დამატების შემთხვევაში სკოლას უნდა უზრუნველეყო სასკოლო რესურსების ორივე ცვლისთვის თანაბრად მიწოდება, რათა არ დაირღვეულიყო სწავლის ხარისხი და მოსწავლეთა თანასწორუფლებიანობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600 - ით განსაზღვრის საკითხი.

სკოლის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, ავტორიზაციის ვადების გათვალისწინებით ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2024 წლის 12 ივლისი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:35
დასრულების დრო: 16:45

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-11 პუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, შესაბამისად ა(ა)იპ - წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიას (ს/კ: 439860152) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:
აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია 2024 წლის 12 ივლისი.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი სენაკი, რუსთაველის ქ. №116
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი სენაკი, რუსთაველის ქ. №116
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი სენაკი, რუსთაველის ქ. №116

2. შპს - საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა მომავალი საბავშვო ბაღი მომავლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა.

ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა, განაცხადა, რომ შპს - საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა მომავალი საბავშვო ბაღი მომავალშიავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 29 და 30 აპრილს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ მარნეულში, აბდულა შაიგის ქ. N 3- ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 270 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 270- მოსწავლისთვის.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მაკა ჭიაბერაშვილმა განაცხადა, რომ პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი და კომპონენტები 3.1, 3.4 და 3.6 შეფასდა როგორც „მეტწილად“, მეორე სტანდარტი (დაწყებითი საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) შეფასებული იყო ასევე „მეტწილად შეესაბამება“, ვინაიდან კომპონენტი 2.2 შეფასდა, როგორც „მეტწილად“. ხოლო, რაც შეეხებოდა, მეოთხე სტანდარტს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა, აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. ასევე, დასკვნა მოიცავდა ექსპერტთა მიერ გაცემულ რჩევებს.
მაკა ჭიაბერაშვილის განცხადებით სკოლას ჰქონდა 20 საკლასო ოთახი, ბიოლოგიის, ქიმიის, და ფიზიკის ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილი შესაბამისი მატერიალურ- ტექნიკური საშუალებებით, ასევე, დაწესებულებაში ფუნქციონირებდა მუსიკის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, ტექნოლოგიების ოთხი, ექთნის ოთახი. სკოლას თურქეთის საელჩომ და ორგანიზაცია TIKA – თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტომ გრანტის სახით გადასცა სამივე ლაბორატორიისათვის სპეციფიკური თანამედროვე ინვენტარი. სკოლაში ფუნქციონირებდა

კომპიუტერის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილი იყო კომპიუტერებითა და პროექტორით. ჯამში, დაწესებულება ფლობდა 5 ქსეროქსის აპარატს, 23 კომპიუტერსა და 3 ლეპტოპს, 1 ელექტრო პიანინოს, ორი დინამიკს, 2 მიკროფონსა და ციფრული კამერას.
ექსპერტმა მაკა ჭიაბერაშვილმა, ასევე, ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ სკოლაში სწავლობდნენ ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსწავლეები. სკოლა პირველი კლასიდან დიდ ყურადღებას უთმობდა სახელმწიფო ენის სწავლებას, ხორციელდება რემედიაციის პროგრამა სახელმწიფო ენაში, რის შედეგადაც, მოსწავლეთა შორის სახელმწიფო ენის ცოდნის დონე იყო საკმაოდ მაღალი და მზარდი. მოსწავლეები ხშირად ასრულებდნენ თარჯიმნის როლს სკოლასა და ოჯახს შორის კომუნიკაციისას. რაც შეეხებოდა მოსწავლეთა მხარდაჭერას, ექსპერტის განცხადებით, სკოლაში შიდა რეგულაციებით ხორციელდებოდა მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. დაწესებულება მოსწავლეებს დაწყებითი საფეხურის I - IV კლასებში სთავაზობდა მეტყველების კულტურისა და მეიდიაწიგნიერების გაკვეთილებს. II და III კლასებში ხორციელდებოდა ნესტლეს გლობალური პროგრამა ,,ჯანმრთელი ბავშვები" ,,მხიარული გაკვეთილები კვებაზე". I -VI კლასის მოსწავლეებს, ასევე, უტარდებოდათ ცეკვის გაკვეთილები. სკოლაში აქტიურად მუშაობდა მოსწავლეთა თვითმმართველობა. მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებთან ინტერვიუს დროს, ასევე, დადასტურდა, რომ მოსწავლეების ინიციატივები იყო მხარდაჭერილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრის, შალვა მეკრავიშვილის, განცხადებით დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნაში დაფიქსირებული იყო, რომ საძირკველში აღინიშნებოდა სერიოზული დაზიანებები, რომლებიც დაწესებულებას სასწრაფოდ უნდა გამოესწორებინა. საბჭოს წევრმა მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და ექსპერტებს დაეზუსტებინათ რა ღონისძიებები გაატარა სკოლამ აღნიშნულთან დაკავშირებით.

ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა, განაცხადა, რომ შენობის მდგრადობის დასკვნაში მოხსენიებული ავარიული ნაწილი სკოლის ძირითადი შენობისგან იზოლირებული იყო და მოსწავლეებს არ ჰქონდათ მასთან წვდომა.

სკოლის დირექტორმა, გიორგი კირკიტაშვილმა დაადასტურა აღნიშნული და განაცხადა, რომ შენობის აღნიშნული ნაწილი იყო ძველი აშენებული და ნამდვილად საჭიროებდა რეაბილიტაციას. დირექტორის განცხადებით, ამ ეტაპზე მოცემული ოთახი იყო დაკეტილი და მოსწავლეებისგან იზოლირებული. ამასთან, იგეგმებოდა სრულიად ახალი შენობის აშენებაც.

საბჭოს წევრი შალვა მეკრავიშვილი სკოლის დასახელებიდან გამომდინარე, დაინტერესდა ფუნქციონირებდა თუ არა სკოლის შენობაში საბავშვო ბაღი და გამიჯნული იყო თუ არა ის სკოლისგან.

სკოლის დირექტორმა, გიორგი კირკიტაშვილმა, დაადასტურა რომ შენობაში ფუნქციონირებდა საბავშვო ბაღიც, რომელიც სკოლისგან იყო გამიჯნული და იზოლირებული შესასვლელი ჰქონდა შენობის სხვა მხრიდან.

ექსპერტ, მაკა ჭიაბერაშვილის განცხადებით, საბავშვო ბაღს შენობის გარეთა იზოლირებულის გარდა ჰქონდა კიდევ ერთი შესასვლელი, რომელიც კავშირდებოდა პირველი სართულის ფოიესთან. ექსპერტის განცხადებით, აქვე, მდებარეობდა სკოლის ბუფეტიც, რომლის სარგებლობისთვის მოსწავლეებს უწევდათ ბაღის ტერიტორიაზე შესვლა, ამის გამო კი არსებული გამიჯვნა სკოლასა და სკოლამდელ დაწესებულებას შორის იყო დარღვეული. შესაბამისად, მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოება არ იყო დაცული. ეს ფაქტი აღინიშნა

ვიზიტის პერიოდში და დაწესებულებამ მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, გადაიტანა ბუფეტი სკოლის ტერიტორიაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაცია რომელიც ეხებოდა კანონმდებლობის შესაბამისი კადრის აყვანას დაწყებითი კლასებისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებით. დავით მალაზონია დაინტერესდა რა ეტაპზე იყო აღნიშნული საკითხი. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა, განაცხადა რომ შესაბამისი კადრის მოძიება არამარტო სკოლისთვის არამედ მთელი რეგიონისთვის დაკავშირებული იყო გარკვეულ სირთულეებთან, თუმცა დაწესებულება მუშაობდა აღნიშნულ საკითხის მოგვარებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა ექსპერტებს გაეზიარებინათ დამატებითი ინფორმაცია ავტორიზაციის ვიზიტისას გამოვლენილ გარემოებებთან დაკავშირებით.

სახელმწიფო ენის ექსპერტმა, თამარ კვანტიძემ აღნიშნა, რომ არაქართულენოვანი მოსწავლეებისათვის ხორციელდებოდა რემედიაციის პროგრამა-ენობრივი ბარიერით გამოწვეული სირთულეების მქონე მოსწავლეებთან ინდივიდუალური მეცადინეობები სახელმწიფო ენაში. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა დამხმარე რესურსების გამოყენებას, რომელსაც მასწავლებლები თავად ქმნიდნენ.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ინგა ლომაძემ, განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა საბუნებისმეტყველო საგნების სამივე მიმართულების - ფიზიკა, ბიოლოგიის და ქიმიის ლაბორატორიები და ინდივიდუალური კურირიკუმის ჩარჩო. ექსპერტის განცხადებით, სკოლაში დასაქმებული პედაგოგები გამოირჩეოდნენ მაღალი პროფესიონალიზმით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა მომავალი საბავშვო ბაღი მომავლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 270 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:30
დასრულების დრო: 17:40

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს -

საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა მომავალი საბავშვო ბაღი მომავალს (ს/კ: 405225144) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 270 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	მარნეულის მუნიციპალიტეტი, ქალაქი მარნეული; აბდულა შაიგის ქ. N 3
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	მარნეულის მუნიციპალიტეტი, ქალაქი მარნეული; აბდულა შაიგის ქ. N 3
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	მარნეულის მუნიციპალიტეტი, ქალაქი მარნეული; აბდულა შაიგის ქ. N 3

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის ივლისში 3.1, 3.4, 3.6 და 2.2 კომპონენტებთან მიმართებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება. კერძოდ, 2020 წლის შემდეგ დასაქმებული ყველა თანამშრომლის პირად საქმეში სქესობრივი თვისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ, ყველა მასწავლებლის პირად საქმეში ნასამართლობის ცნობების, დაწყებითი კლასებისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებით კანონმდებლობის შესაბამისი კადრისა და ექიმის აყვანის, კანდონმდებლობის ფარგლებში სკოლის ვიდეოთვალთვალის სისტემის ადმინისტრირების, სკოლის მიერ შემუშავებული "საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის და პირობების" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმების, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის დანერგვის და სპეციალური გამწოვი სისტემის დამონტაჟების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 17:45 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა